

ჩვენს ფოსტა

საქართველო
გეოგრაფიული



ბაკათი ნიანგს

სიხარულით შევიტყვი, რომ ჩემი დაბადების 300 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ კავშირგაბმულობის მუშაკებსაც. ამაზე ნათლად მეტყველებს მათ მიერ გამოშვებული საფოსტო მარკა, რომელზეც ჩემი სურათია დაბეჭდილი და ქვეშ წარწერა აქვს ქართულ და რუსულ ენებზე.

სურათზე, აბა რა მეთქმის, მაგრამ წარწერის ავტორებს კი ვერ დავეთანხმები ჩემი სახელის შეცვლაში.

გაუგებარია, თუ რისთვის დახჭირდათ, რომ უპირატესობა „საბასთვის“ მიუციათ (იქნებ ფიქრობდნენ, ათეისტობა არავინ დაგვწამოს). მარკაზე ქართულად ვკითხულობთ: „საბა-სულხან-ორბელიანი“, ხოლო რუსულად „Сулхан-Сабан Орбелиани“. კიდევ კარგი, რომ რუსული ტექსტი მაინც სწორად შეუდგენიათ, თორემ მთელ მსოფლიოში მომეკრებოდი თავი.

წერილს მათ მიერ დაბეჭდილი მარკით გიგზავნი და ძალიან გთხოვთ პირადად გადასცეთ. თორემ, ფოსტით თუ გაგზავნეთ, ვინ იცის, რაღის მიიღებენ.

სულხან-საბა ორბელიანი

ძვირფასო ნიანგო

ფოსტიდან სულ 200 მეტრზე ვცხოვრობთ, მაგრამ 2 საათზე მოსული დეპეშა ათის ნახევარზე ძლივს მივიღეთ.

— როგორ?

— ახლავე მოგიყვებით. მეოთხე საფოსტო განყოფილების ექსპედიტორ ოსიპოვას დეპეშის მისაღებად სათანადო საბუთებით უნდა დაუმტკიცოთ, რომ თქვენ ხარ თქვენ და არა სხვა. ამისათვის არსებობს პასპორტი, რისი უქონლობის გამოც ხელიდან გამოიტაცა წასაკითხად გამზადებული დეპეშა. პასპორტი ჩავიტანე. დამამშვიდეს, დეპეშა სახლში გამოგზავნეთო. ავვარდი სახლში. ვუცადე; ვუცადე, ვის დაკარგვიხარ! ჩამოვვარდი ფოსტაში: ისევ დამამშვიდეს, ისევ ავვარდი, ისევ ჩამოვვარდი და ამასობაში ათის ნახევარი გახდა.

— ამ მადლს ფოსტის თანამშრომელმა ხანკოვამ მოაყარა მარილი და კავშირგაბმულობის სახლის პირველი სართულიდან მრავალსართულიანი ლოცვა-კურთხევით გამომისტუმრა.

ძვირფასო ნიანგო, იქნება გამაგებინოთ, ასე ახლოს რომ არ ვცხოვრობდვ მეოთხე საფოსტო განყოფილებასთან, ერთი დეპეშის მიღება რამდენი წყვილი ფეხსაცმელი დამიჯდებოდა?

უკვე დამშვიდებული რევან მეტრეველი

საუპაჩელო ნიანგო!

საუპაჩელო ნიანგო! ჩვენ, სოფელ კიტოხის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებს უოველ წვიმიან დღეს თვალები ზეციხსკენ გვაქვს მიპყრობილი და ბურსაქირის ღრუბლის გამოჩენისას ჯამ-ჭურჭლით ხელში ვვხვებით ბუნების ძალას. რომ მოუკლოს ავდარსა და დვარტაჟუს, ააცდინოს ყველანაირი ცინნამი სოფელ კიტოხის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ამ შვიდი წლის განმავლობაში შეკეთება და წელში გამაგრება არ ღირსებია.

დიდება და ჯანმრთელობა ნუ მოაკლოს მამა ზეციერმა გულა მაყრის სასოფლო საბჭოს, ჯანი მრთელი მისცეს და გული მხიარული, ბუნების ძალამ გულმაგიწყოზა ალუდგინოს და გაახსენოს, რომ მათგან დავიწყებული მასწავლებელთა სახლის სულს ღაფავს და ელოდება იმ ძმურ და ვაჟაკურ ხელს, რომელიც მამობრივ მზრუნველობას გაუწევს წვიმათოვლით დატანჯულ კიტოხელ მასწავლებელს.

3. კახელიზილი

Министерство связи СССР

ТЕЛЕГРАММА

ПРИЕМ № 54 Прислано:	ПЕРЕДАЧА № связи Передал:	Адрес:
ТБИЛИСИ СВС 353 ЕВАСТОПОЗЯ 13/1 4 7 2 1810		
ГЯССР СТ ЦНОРИ ПО Ч ТА ГЕНА Ш ВИЛИ =		
ДОМХАЛ БЛАГОПОЛУ Ч НО = ЗЕЛИМХАН		

Типография Грузлавишта, Сухум



შეიქმნა უნიკალური ტიპოგრაფიული ნიშნები, აგრეთვე მოხდა სხვადასხვა ტიპის ტექსტების დასაწერად. ტიპოგრაფიული ნიშნები — მათი სახელია „საქართველო“.

306 ნაიკითხავს?

დაბა წნორიდან ნიანგმა მიიღო ზ. ბენაშვილის წერილი, რომელსაც თან ახლავს დეპეშა. წერილის ავტორი გვატყობინებს, რომ მისი ძმა შვებულებით იმყოფებოდა მშობლიურ სოფელში და წასვლის წინ დაპირდა ნათესაეებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დეპეშით აცნობებდა თავისი მგზავრობის ამბავს. დეპეშა მართლაც მიუღიათ, მაგრამ დღემდე ვერავის გაურკვევია, საიდან არის გამოგზავნილი, ან რა შინაარსისაა.

ნიანგი ბევრს უცადა ამოეხსნა დეპეშის საიდუმლოება, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამიტომ ჟურნალში აქვეყნებს მის ფოტო-ასლს და ფიქრობს, იქნებ მკითხველებმა მაინც შესძლონ მისი ამოკითხვა. დეპეშის ტექსტის დადგენაში შეუძლიათ რიგ გარეშე, მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის იმ მუშაკებმა, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ასეთი სახის დეპეშების მიღება-გადაცემის საქმეში.

ლეილამ და ალიმ ერთმანეთი მოიწონეს. ტრისტან და იზოლდასავით ერთმანეთის ნახვა არ გასჭირვებიათ. კინოთეატრებსა და პარკებში წყვილად იარეს. ბევრი ქათინაური უთხრეს ერთი მეორეს. და ბოლოს დადგინდა, რომ ვისი და რამინივით უერთმანეთოდ არ შეეძლოთ ყოფნა. მოგეხსენებათ, ასეთი დადგენილების სისრულეში მოსაყვანად საჭიროა კიდევ ოთხმხრივი სურვილი და მონდომება, თუ შეუღლების მოსურნენი ბედნიერნი არიან და ასეთი ოთხეულის ყველა წევრი ყველა სააქაოშია. ალი ისეთი ახალგაზრდა გახლდათ, რომ მშობლების უკითხავადაც შეეძლო ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ამიტომაც მისის მხრით დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია.

ლეილას წინაშე დაისახა ამოცანა, ეჩვენებინა ალი მშობლებისათვის და თანაც ისე, რომ მისი კარგი ადამიანობა დაემტკიცებინა. დიდი ფიქრი და დავი-დარება არც აქ დასჭირდათ და გამოსავალიც უცებ იპოვეს. იმ დღეებში ლეილა თავის მშობლებთან ერთად მიემგზავრებოდა ბაქოში. ალი (როგორც ამას გეგმა ითვალისწინებდა) წინასწარ იქნა ინფორმირებული და თავისი მანქანით ან, ასე რომ ვთქვათ, სახელმწიფო მანქანით, რომელსაც ტაქსი ეწოდება და რომელზეც ალი მძღოლად მუშაობდა, წინასწარ იყო ლეილას სახლის სადარბაზო გამოსასვლელთან მოდარაჯებული. ლეილა და მისი მშობლები ძალზე გახარებული დარჩნენ, რომ ასე «იოლად»

კეთილშობილური საქციელი



იშოვეს ტაქსი და სიხარულით მოთავსდნენ «პოხედის» მარკის მანქანაში. წინ თავისი ჩემოდნით ჩასკუპდა ლეილა. (ესეც გეგმით იყო გათვალისწინებული). მანქანამ ელვისებურად დასერა თბილისის ჯერ კიდევ ალაგ-ალაგ შემორჩენილი მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ჩელუსკინელების მაგისტრალით სადგურს მიადგა. მგზავრები ჩამოვიდნენ. ლეილამ (ესეც დაგეგმილი გახლდათ) ჩემოდანი მანქანაში დატოვა.

მატარებლის გასვლამდე სულ რამოდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როცა აქოშინებული ალი იმ ვაგონში შევარდა, სადაც ლეილა და მისი მშობლები იყვნენ დაბინავებული და ჩემოდნის დაკარგვით დამწუხრებულნი.

— «ქალიშვილო, ჩემოდანი დაგრჩათ და აი, მოგიტანეთ», — მიმართა ალიმ ლეილას და მზერა მის მშობლებზე გა-

დაიტანა. უნდოდა გაეგო როგორი შთაბეჭდილება მოახდინა. აღფრთოვანაბულმა გულუბრყვილო ადამიანებმა გულში ჩაიკრეს ალი და საქციელი მოუწონეს. «დაბნეულმა» და უაღრესად «გახარებულმა» ლეილამაც რამდენიმეჯერ აკოცა ალის, თუმცა მართალი უნდა ითქვას, ეს უკანასკნელიც არ დარჩენილა ვალში.

მაგრამ მორალი?!
პრესის რომელიღაც გულუბრყვილო მუშაკმა ლეილას დედ-მამასავით ალის საქციელი მართლაც კეთილშობილურად მიიჩნია, ამ ამბის ასაწერად დააშრო გიშრის ტბა.

და წაიღო ეტრატი იგი, რათა ქვეყანას მოჰფინოს.

ამაოდ დაშვრა მუშაკი იგი, «საწუხ არს ესე».

ე. ჭაჩანიანი

სამგორის საჯიზე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობამ ახლახან მიიღო რამდენიმე ათასი მეზორცული ტიპის ჯიშინი წიწილები, რომლებიც მოსკოვიდან თვითმფრინავ „ტუ-104“-ით გადმოიყვანეს.

ნახ. გ. ფირცხალავასი

მ ი კ რ ო
მოთხრობები


მაღარიჩი

ფერმაში გოჭი უკვდებოდათ. მოიყვანეს ვეტექიმი. დასტაქარმა მოარჩინა იგი. ფერმის გამგემ „მაღარიჩად“ სწორედ ის გოჭი დაუკლა ვეტექიმს.

მაღაზიაში

— რად გიდევთ ვიტრინაში ძეხვის შემოკმული ნაჭერი? — მიუთითეს მაღაზიის გამგეს.
— ლამლამობით სათაგურში ვამაგრებთ ხოლმე და...

ო. სტაშაძე



— აქეთ წამოდი, ტურისტები არავის ვეგონოთ, ჩვენ სამგორში ვართ გამოგზავნილი.

დაიბადოს ისლუბათი!

ვინ არ ამავსებს თავისი ქალაქით და აღბათ, ქუთაისელები ქუთაისში ამავსებენ. ვერ მარტო რამდენი სიმღერა ქუთაისზე.

სავარაო და სამაისო ქუთაისი მინიატურული ზომის სანაგვე ყუთები ამწვევენს. საკმარისია ამ ყუთში ორიოდ პაპირისის ნაწივი ჩაადლოთ, რომ ყუთი ყელამდე გაიყოს. ამიტომაც ხშირად შეხვედებით ქუთაისი დაყრილი ნაკვის ზეინდს. სამაიროდ ვერ გათვით ას ნახვისაც, რომ ჯანერლი არ იყოს დიდატეორული წარწერა: «დავიკეთი სისუფთავს»

ერთი რამ მაინც გაურკვეველია: ვის ფართობებს ეს წარწერა: მოქალაქებს, მეზობლებს, თუ ქალაქის საბჭოს თანამშრომლებს.

ზაზი ბაზარი

— ქალის წვრილქუსლებიანი ფრანგული ტუფლები გინდა?

- ინებებ?
- სასოტუფე?
- ინებებ?
- ჩიტის რძე?
- ინებებ?
- ვაი?

— საბოლოო საკომლერენო ბაზარში, მიიღო სერიოზული სახე მოგიახლოლებათ დადლოი და შევა თქვენს გაჭირებულ მდგომარეობაში, გამოკეთიხათ რაზე სწუხხართ, რით შეუძლია დაგეხმაროთ და შეზღვევ ან მიგასწავლით, ან პატის დადებთ და თითონ გამოკვევებით. გაიღოთ შაშუნიანის ქუჩას და მიადგებით სალოცავს. ჰოდა, იმ დალოცვლად აღდლოს, სული და გული, რა გინდა, რომ არ იმოყო ორბაგ ფასში.

ეს ღვთისწავლობა არ გეტოვოს. ქუთაისელი საბჭოელანტები ისეთ საბჭოელებს სჩადიან, რომ ღვთისსაც შე-წოდებოდა.

საინტერესოა, იყის თუ არა ქალაქის მილიციამ ეს საოცრება და, თუ არ იყის, საოცარია.

ზღაბრანი მირვა

როგორც მთელს ჩვენ ქვეყანაში, ქუთაისშიაც ახალი კვარტალი კვარტალზეა მჯერალი. როგორც ყველგან, აქაც ერთი მეთრეს უკმაჩრბიან სამწვებლო ტრესტები, მაგამა, როგორც ჩანს, ქუთაისის მეთოხე ტრესტი კონკრეტარზეა.

ამ ტრესტებს სოხობის ქუჩაზე აშენა სახლი. აშენა, აშენა და ერთ მოდერულულ დღეს სარეზოდა მიარეზ მოაღწია ზარბანი.

ქუთაისშიაც ზღობადა ახირებულა სახათის ადამიანები. ყველაფერ ამას მშენებელ ინჟინერს აბარლებენ. ვინც განათლება აკლია, ის ამბობს მას, თორემ მშენებელი ინჟინერი არა მუშაობა, როცა ყოველი სეუ-

ხელოვნების ქუთაისი



ლი მხოლოდ დედაბაბის მიხედვითაა ძალით გამოჩენილი? მიიზიდ დასარბული მიწამ და დაფარა, მარჩა და გათავდა.

კიდევ კარგი, რომ ახლად დაინგრა, თორემ, დასრულებული სახლი რომ დაწვეულყო, განა სახელმწიფო უფრო არ დაზარალდებოდა?

ვაშა თქვენ, მეოხეხე სამშრომელის მეოხეხე ტრესტის მშენებლებო!

რალა იმი სინათლე, რასაც ახლავს ხეილი

ვინ მოთლის, რამდენ მკვლევარს მიუჩნევია აბსოლუტურ კეშმარტებად ის აზრი, რომ ჩვენი სასიქედლო შოთა მესხვიდიან იყო წარმოშობით და ამის დასადასტურებლად თითონ მგისინი სიტყვებიც არავინებულ მოუცხვიათო, ესა და აწერენ ვინმე მუხი მელექსეთო.

ერთმა ზედხეიმა დაკვირვებამ სრულიად სწრაფად-მელო ადმოჩენამდე მიმიცხვია:

თურმე ნუ იტყვი და, შოთა ქუთაისელი ყოფილა. ამას ის მისარჩებაც ცხადვლებს, რომ, შოთა ქუთაისელად რომ არ მიიჩნეოთ, მაშინ გაუგებარია, რას უნდა ეთქვინებინა მისთვის საბჭოელ ცნობილი:

«რალა იგი სინათლე, რასაც ახლავს ხეილი».

ისეთი კლასიკური სინათლე, რომელსაც ხეილი განუწყვეტელი ახლავს. სწორედ ქუთაისშია. იქ ხომ სათუფლი ისე მიზიდვლად ბუნებრივ, რომ მათ შეუძლებ ვახმამსაც ვერ შეეხმს ადამიანი.

დასეცა ნათელი: შოთა ქუთაისელი ყოფილა და უკვდავი ფეხებისყაოსნიცა ზალახეანის მიდაბოში მუქმობია.

აღმოჩენაც ასეთი უნდა აღივსებ შერთი, რუსთველოდებებო!

სამიოზანი ჭაბა

პოეზიის დიდი მოყვარე ვარ და, სავად არ უნდა ჩაკვიდე, ყველაფერს ვნახებოდა. რასაც რომხედავ მგისინი სახელთან რაიმე დაქადაბირ ან არიბი ვეკვირი ვაჩინია.

გუჩინაშიღვის ქუჩაზე მოქუჩებით ვაგვიდი და მანქანებისაგან ახლოდ ტალახში კინაღამ მიხვებამდე ჩაკვიფლი, მაგრამ, სავაგვირად, ჩემ წინ ვადაზღვდა სანახაობამ ვაგვიდი სიახლო ამიგოს და ცხვირი სურნელებამ მომიჩვიდა. რა სახის ნაკვიც ვაღწი გინდა, რომ ამ ქუჩის ნებარისებულ ხეში არ ეყაროს და ვაგვირად-ვაგვირადვლებს ყსოვსა და მზესის არ უტკობდეს.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციული კომიტეტის კომუნალური მეორეობის განყოფილებს კამუქვე: ახლადვე ხატონდა ესხადები: აღნიშნული ქუჩა მუშაროვანია და მისი კეთილმოწყობა მიმდინარე წლის გეგმით არ არის გათვალისწინებული.

კეთილი და პატიოსანი, პატრივტული გამგეობ, მაგრამ საზვევე ყუთების დაგება და ნაკვის გატანის მოგონახვაც, თუ არ ვცდებით, ნაწილობრივ თქვენდამაცაა დაბოვიდებული.

ჰოდა, ვიდრე აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობაზე გეგმიანად იზრუნებდით, იქნება ნაკვიც მაინც მოყოლოთ თქვენს ნაღვლს-ვაიმირივან ქუჩას.

სანი პარის ჭაბაზი

არხიც ვაჩინია ქუთაისის და არხის ქუჩაზე, არხის ქუჩა არხის გაყოფილია. არხის ქუჩაზედაც არხია ვაჭირ-



ლი, არის ქუჩის არხი ვამეღულთა ამსათოთხნადა ვანკუთხელი. მიე მანქანებზეც ვუღობიან და მგზავრებიც. რაიკ მათლი მათლის ტყვეს არ დახუცს, არხის ქუჩა არხს უღობია მოთხელის და ახლავს არხის ქუჩაზე, მაგრამ მცხარებლები მაინც ჩივიან: ჩვენ რალს გიორჩიან.



ბაკაძა

ვილცამ აიჩნა, ტყევის ამბავს, გინდა თუ არა, ვახადგზა უნდა გაივლიოთ და, ტროლეებში დრო რომ არ დაფარავ, კონსექტორებმა ვაჭეხეთ ბილეთიან ერთად მიმიღობინ.

აიჩნა და დაკისრა ვისაც ვერ არს. მაგრამ ქუთაისელმა კონსექტორებმა თქვენს ვახეთში რომ წავსულია ვაყოლოდ, ახლა ხილ-ბოსტნეულის გაყიდვაც მოგვიბოხვენ და, ვირბით ხელში ხომ ვერ გავივლით. შენია უცხირებო!

არ ვფიქ, უფხინდა თუ არა ბუბია აჩეხებულ მგზავრს, მაგრამ, ქუთაისურ ტროლეებშიც ვაჭეხეთ ძალად ვაყიდვა რომ შემოსულია ზიადი, ამის მოწმე თავით ვახლავარც.

«ბლა ი აზარანო»

ქუთაისში ჩასულ ვაყის, ქართული იტენა თუ კანკატული, გული როგორ ვაუძლებს, რომ წყალტუბოც არ მოსახლებს და, პირიქით, წყალტუბოში ჩასულს, როგორ უწებო ქუთაისის ნახვა არ მოუხდეს, პირდაპირ ისეა, ვამიშუ და ვაგვირებო, რომ იტყვიან: მინახულ და ვი-ახლავ.

ახლ და ამგვარად, ქუთაისის და წყალტუბოს შორის ვახლავ და მგზავრები, მაგრამ მგზავრების მგზავრობისუნარიანობას ვატებოქუსნი ვადაყვანისუნარიანობა ჩამორჩება და უკულო ვაქვინი რიგები დგება. ვანსაკურთებით საკურორტო სუბის დროს-კიდევ კარგი, რომ წყალტუბოში საკურორტო სუბის წყალწარმის მოვლად თორმეტ თვეს გრძელდება!

იფიგომებით: იფიგომებით რიგები და, როცა ის-ისაა ხელი უნდა ჩაიქნითო. სატრანსპორტო მესილ ტაქსი მოგეკლენებოთ.

- წყალტუბოში წავივით?
- ტუდა ი აზარანოს თუ მომეცით, რატომაც არა?
- ქსე იგი?
- თითო მგზავრისაგან თითო თუნანი?
- როგორ, წყალტუბოშიდ სულ 18 მანეთს წერს?



— წერს, წერს... მანქანის ნაწერს კი არა, ზოგიერთი მწერლის ნაწერს არ კითხვობენ. მისი თუ გინდათ, წამოიღეთ. არა და სხვები შეუწყვიტონ!

საბანო

წყალტუბო რომ მწვერივითაა ხალა კი, მაგრამ მისი სუბო გამოწვერივითაა რომ შეიძლება, ამას პირველი მწვერივით ავიდოდ მიხადება, თუნდაც იმით, რომ ღამის უკუში უნაყოფო ელნათორების ბოძს მირატყანს.

თუნდაც ეს, ერთის მხრივ, სასარგებლოცაა: ტუქის ის-წყლის და ბინათ დროზე შიგა.

საბანო

აზირებული ხალხია ეს დამწყვერლები: წყალტუბოს უკვდავების წყაროში ნახაობაც უნდათ, წელსაც ისწორებენ. ყვავარენაც იცილებენ. უხეთუც სამუდამოდ იმაგრებენ და, პირველ დროს, ათსავარი პრეტენზიის აყენებენ: ესაო და მოხვედრისა და ხილის წვენიანობა ვაით და ხილისტენული რატომ ვაკვლიანო, მწვენილყო ვეყვარსო, კიტრითაც და მათილირაც და, კითხ იწებო, მოგვა-ზარევირო იმასაც კი ამბობს, ვეუფლის საბჭოთა მერუნება რატომ შემოგვიწერა, დეტატზე რომ ვახდევყვანა და მოსტენული მხოლოდ დროკამოშვებით და მცირე-მცირე დროით ვეგვყვანისო.

«ამირან გულში მდგროდაო...»-მაგათვც ნათვბამი. უთხრან მწვერივების ხელმძღვანელობას და ჩეჩქითი და-ყარის ვეუღვდეს.

ჩვეუც ეს უფხადლოცებელი მცერნალობა და დასყვენება არ ვერღებან: გინდათ თუ არა, ტროლეულ კონსექტორებზე წე ვეგვახვითო, მსხუცქი, მხიარული კონსექტორები მიგავაჭიროთ მერვა და საბჭოთა აკვმის სხვადასხვა კუხიანდა ჩამოგვსვლიროთ, საქართველოს ვაგენდა ვინცა და ქართული კონსექტორების ჩეხნივლებს გამოიმოტვით.

მისეცითო! ამც ჰქვითინა მსაქარბველს კინაბოკატს! იმისათვის სულაია, რომ არჩიოს, ვის როგორც წერებო აქვს და როგორც ფილმი ვაჭეხებო, უფხინებო თუ არ არიან: ასეთი უფხინებო სკამით ვაჭეხებო.

რასაც ვაჩეხებო, იმაზედაც მაღდობელი იყავითო...

მინი პარიმების

წყალტუბოს წყალი რეგენერირება და სასხრების და-ავადებას კი არა წარმოადგენს, რისთვისაც ვერცა და დროთა ვიოთარება ვანჯავ აქვებს. მხოლოდ პლასტისას ვერავითარ აულებს (სახეინიროდ ადამიანურ სწეულებებს პლასტისას ვამძლეობა არ ვაჩინიათ, თორემ რა გემწვევლებო).

ამიტომაც ვამოწყურებს და ჩამოტყენს ლინტრადი-დან პლასტისას მიღობს. რა საცა სტანდერტ ცნობით მე-ქმეზე აზარანის აზარანისათვის ვაჭეხებო. ჩამოტყენს და ვაგუფებს კიდევ. მაგრამ მცირე არიო-მეტყობელი ვანჯარბეზა ვამჩრავს მუდგვლილობა: აზარანში წყალი რომ დიდი დაძაბულობით ჩავის და დაც-ლისის რომ სულაც არ ჩამოხრის დაძაბულობის უქონლობის სახაბით, ერთის სახეებით, ყანურიანა: ვაგებდა ად-ვილია, მაგრამ ადალას საშველი არ აიღება.

ირიფოზანი შილის საცვლად საშველიანი რომ ჩაკეყო, ყველაფერი რაზეც იტენობა, მაგრამ ამას განა-გარაზება და თვის შეუძლებს სტრობობა.

ახლა მთელი ისეა დაზარალებული, ეს კი აზარანის რამ-დენიმე მნიშ დაზარალებს გამოიწვევს და არიო ვადწყო-ფეხისას.

«ფლომა ფული იყისო!»-ნათვბამია და მიმეცეპ აზარანზე იმეგრით თანხა უთავკობოდ აღბათ იმეგრით დახარჯს, რომ კიდევ ერთხელ და კიდევ რამდენიმეჯერ უფრო მეტად დახარჯონ.

დახარჯონ, დახარჯონ, მეტ ხარჯში ვამოჩინება მეტია.



ნახ. ჯ. ლოლუა

- რა წამება ყოფილა ფილმის გადაღება?
- წამება მაშინ ნახე, როცა ეკრანზე გიჩვენებენ.

მინიაგურული მოთხრობები

კლავიატი

ერთი კაცი საჯაროდ ამტკიცებდა: ამა და ამ მკვლევარს თავის ნაშრომში სულ სისულელები უწერია და ისიც ჩემგან აქვს მოპარული.

საკონსტრუქტორო ბიუროში

ბევრი სამუშაო დამიგროვდა, ვინმე უნდა მომხმაროთ. სთხოვა ბიუროს უფროსს ერთ დღეს ერთმა კონსტრუქტორმა. კარგი, მოვამაგრებ ერთ უფროს ინჟინერს, უფროს ტექნოლოგს, უფროს კონსტრუქტორს... უფროსები ისედაც არიან. შეაწყვეტინა სიტყვა კონსტრუქტორმა, უკეთესი იქნება, თუ ერთს ვინმე სამუშაოს შემსრულებელსაც მომხმაროთ. მაშინ საქმე ნამდვილად წინ წავა.

ა. ზასილაია

ჩვეულების მანკი

დილით სამსახურში შემთხვევით ავტობუსით მიმავალ რედაქტორს უკან საყელოაწეული, უქულო და საკმაოდ თამამიშეგებული ახალგაზრდა ამოუდგა. ბოდიში, თქვენ ჩახვალთ ამ გაჩერებაზე? — ა? გამოერკვა რედაქტორი. — გადაჭრით ვერ გეტყვით. ვნახოთ მოვითათბირებთ და ყოველ შემთხვევაში ორ დღეში განვიარეთ.

316 რეკლამა

მობეზული?

კრიალა «ვოლგამ» სავარდო და სამაისო ქუთაისი უკან ჩამოიტოვა. მე ბიძინას მივუბრუნდი: — ბაკი ცარიელი გვაქვს, ზესტაფონთან გაჩერება მოგვიწვეს.

უკან მჯდომი მოხევე, ქუთაისის პედინსტიტუტი რომ დაემთავრებინა და ახლა თავის სოფელში მიდიოდა ქართული ენის მასწავლებლად, ჩვენსკენ გადმოიხარა და დაცინვით გვითხრა:

— ძროხებით თუ უნდა ივაჭროთ ზესტაფონში?

არ მეჭაშნიკა შენიშვნა «ვილაც გლეხისაგან». წარბშეკრულმა ბიძინამ შემომღრინა: — არც ახლა ვილაპარაკებთ გამართული ქართულით?

— ერთი შენც! — აფეთქდი რატომღაც. — ასეთი ენათმეცნიერი თუ ხარ, დამენიძლავე და თითო შეცდომაზე თითო ბოთლი მოგებულს.

— პაქალუსტა! — თითქოს ნიშნის მოგებით დამეთანხმა ბიძინა.

— აბა თუ პაქალუსტა! ერთი ბოთლი ჩამოდი! — იქით მოუვუე ნიშნი.

— მალაღეც შენ, ხელად არ მომიგე!

— ორი ბოთლი, სამალაღეცო!

— ვოტ ტეებ ნა, არ ამომასუნთქებ. ბიჭო? — შეიცხადა ბიძინამ.

— სამი!..

«გლეხი» ისევ გადმოიხარა ჩვენსკენ: მეც მიმიღეთ სანაძღვეოში, ბიჭებო. თქვენი ქართული რომ მესმის. შინამდე ერთ-ორ საპალნე ღვინოს მოვაგროვებ.

გავიცინეთ, როგორც გაიცინებდა ვითომ ხუმრობით გაჯიხილი კაცი.

— პაქალუსტა! — ამასაც გადაუყარანტალა ბიძინამ. — აბა შენ იცი, მთიელო, თუ გავგაბახებ.

— გაბახება ქართულია? — იკითხა მოხევემ.

— გურულია, მარა, მაინც ქართულში ჩაითვლება.

— მაშ, წმინდა ქართულით როგორ იქნება?

— ნუ გავვაპაზორებ! — მეც წამოვაყარანტალე და ენაზე ვიკიბნე. ბიძინა აფოფინდა:

— ახლა ასე — დაიწყო ანგარიში ბავშვით გახარებულმა. — ერთი ბოთლი შენგან მოხევეს ეკუთვნის. მე სამი მმართებდა შენი, აქედან ერთი რაშნოთ პაზორისათვის. ზნაჩიტ, ორიღა დამრჩება ვალად.

მე და მოხევეს სიცილა წავგესკდა. ბიძინა მიხვდა, მისი ვალი ექვს ბოთლამდე რომ ავიდა და ვაზრახებულმა ისე უმატა სვლას. კინალამ ხეში გადავკვარა. ჩვენს მოიხვეს ალბათ, ხშირად არ უხდებოდა მანქანით მგზავრობა. შეშინებული მხრებში ჩააფრინდა ბიძინას და ლამის აბლაღლდა:

— ააა, ვაიმე! ტორმუზი მეთქი, ტორმუზი, გადავცივდებით ამ პავროტში!

ვახარებულმა ბიძინამ მთლად უშვა ხელი საჭეს და გაოცებული მოხევე ორჯერ გადაკიცა: — ორი ბოთლი შენგან, მთიელო!

— ეექჰე, ჰე! — ჩაჰკიდა თავი მოხევემ, — მეც წამცდა?

— აბა რა გეგონა? — ამასაც ნიშნით მოუგო ბიძინამ.

უზომოდ ნაწყენი მოხევე გაბუტულივით მიჯდა კუთხეში. გაყურდა და ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ მე და ბიძინაღა ვსაუბრობდით. ამ ლაპარაკში ილეოდა გზა და მატულობდა ბოთლების რაოდენობა. მალე ბიძინაც გაჩუმდა, მგონი ჭკუა იხმარა, დამუნჯდა და მარტო მე მალაპარაკებდა. ერთხანს აგროვა ბოთლები, ბოლოს მეც ბიძინასავით ჭკვიანი გამოვდექი და მეც დაემუნჯდი. გორი გავიარეთ და, იმის შიშით, არაფერი წავგვედესო, ხმა ავც ერთს არ ამოგვიღია. ნატახტრამდე მხოლოდ «ვოლგის» გუგუნე გვესმოდა. ნატახტრის მისაქცევთან მოხევემ ბიძინას მანქანა გააჩერებინა: აქედან ავალ მთაშიო.

— ოთხი ბოთლი შენზეა, ჩემო ბიძია! — თავი გაჰყო ფანჯარაში და შესცინა მოხევეს.

— თუნდ ოთხი ჩაფსაც ჩამოვალ, რაი ბედენა! საქართველოში ღვინოს არრა დამიღევეს, თავად ეს ჩვენი ენა დაგვლევიდა, რომ სამი ქართველი ნატახტრამდე მუნჯად ჩამოგვიყვანა.

კვლავ ჩაჰკიდა თავი მოხევემ და შეტრიალდა.

ბიძინამ შემომხედა. პირზე უცნაური ღიმილი დასჩენოდა, ცოტა უხერხული, ცოტა გულუბრყვილო, სახე სულელს მიუგავდა.

— დალოცვილო, სატირლად გეჭონია საქმე და რას იკრიბები! — შევუყვირე მეგობარს.

ბიძინა აენთო, სწრაფად ჩართო სიჩქარე და ისე მოწყვეტით დასძრა მანქანა, რომ კრიალა «ვოლგას» მაცურქიდან გამოსულმა ბოლმა ჩემი მოხევე დამიფარა.

ქრონიკისკვლევა

1. ტრამვის ვატმანი არასოდეს ემორჩილებოდა მოძრაობის წესებს, იგი ფუნქიულორის ტრამვაზე მუშაობდა.
2. ასტრონომების გარდა, თეატრის აფიშებსაც უწინასწარმეტყველებიათ «მზის დაბნელება საქართველოში».
3. ისეთი უნივერსალური მოჭადრაკე იყო, რომ ერთდროულად შეეძლო შეცდომაში შესულიყო და მოთმინებიდან გამოსულიყო.
5. შოფრები ერთმანეთს ლანძღავდნენ და მილიციელი სიტყვების მოძრაობას აწესრიგებდა.

ოცნა ალუაიძე

— მკვდარს მეტად დამაფასებენო, — თქვა მელიამ და სიკვდილი ინატრა. პოწაფეს ჰკითხეს: ცვლად დენს რა იძლევა და — ცინინათელაო. წურბელას ძარღვებში ვაქაცური სისხლი უჩქევდა. კატა გააფთრებული ტუქსავა ვეფხვს: რატომ არცხვენ ჩვენს ოჯახსო. ციხე შიგნიდან რომ ტყდება, ჩვენზე კარგად წიწილამ დცისო. ყველაზე მეტ მზის აბაზანას მზესუმზირა იღებს. ბუშტების გამყიდვლის სული ბავშვის ხელში იყო.

პარი პარალიზილი



გოულრდელი

ქრონიკისკვლევა

672
28/21
59

— გამოცვალე კაცო, ეს სამართებელი, მომკლა!
— ჯერ ეს სამმანეთიანი ქვითარი გამოცვალე.

ცოლის თხოვა გადავწყვიტე და ამიტომაც ვდარაჯობდი გულიკოს ფანჯრებთან. იმავე მიწვევით დავ-პატივე კინოში. წარმოიდგინეთ. წამომევა ერთხელ, ორჯერ, სამ-ჯერ და დავმეგობრდით. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი გუ-მანით ვრძნობს, რა დროს უნდა დაიწყო სიყვარულზე ლა-პარაკი. ქალიც ვრძნობს. როგორც ექნა, ეს დროც დაგვიდგა. კომკავ-შირის ხეივანზე მიმავალ აღმართს მივყვებით ნელა. სალაპარაკო გა-მოგველია. აი ახლა ვეტყვი... არა, იმ ბუჩქს რომ მივუახლოვდებით, მაშინ... არა, არა, იმ ხესთან უფ-რო ბნელა...

— გულიკო... (ხომ ვთქვი ქალიც ვრძნობს-მეთქი).
— ???
— რა კარგი ხალამა!
— !!!
— რა მშვენიერი ცაა, რა ვარ-სკვლავები...
— ზო, ზო, მერე?
— გინდა იმ ქვაზე დავსხდეთ?
— მინდა.
ვისხედით დიდხანს და ვდუმ-დით.
— გულიკო!
— ???
— გინდა უკან დავბრუნდეთ?
— ?!?!

დავეშვით თავდაღმართზე. ორი-ვეს უთქმელი გვაწუხებდა. მეორე დღესაც იგივე გამეორდა, მესამე და მეოთხესაც. დაბოლოს ისე და-ვიტანჯე, რომ შეხვედრისა მრცხვენოდა.

ეს საქმე მე მომანდე, — მოთხრა ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ოთარ-მა.

მეორე დღეს გულისცემით ვუც-ქერდი, როგორ ჩამოიარეს ჩემს ფანჯრის წინ ხელკავით. დადიოდ-ნენ ერთად და ჩემს დიდ სიყვა-რულზე ებაახებოდა ოთარი, რო-გორც თვითონ მოთხრა.

ერთ დღეს შემოიჭრა ჩემთან ოთახში, სიცილით, უვირილით მომძაძაბა.

— აშენდი და ეს არის. დღეს და-ბადების დღე აქვს, მოემზადე.
დადგა ფრიალ მნიშველოვანი საკითხი:



რა ვუყიდიოთ საჩუქრად, ან საჩუქრი-სათვის ფული სად ვიშოვოთ. ბევ-რი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ გულიკოსათვის ჩემი ახალთახალი მრგვალი მაგიდა და სკამები წაგ-ვედო. იშვიათი აზრია — ვფიქრობ-დი. საჩუქარში ფული არ დამე-ხარჯებოდა. ჩემი მაგიდა და სკამე-ბი, ოთარი რომ საქმეს „გაჩარ-ხავს“ და გულიკოს ვითხოვ — ისევ მე დამიბრუნდება.

ერთი თვის შემდეგ გულიკოს-ძმის დაბადების დღეზე მე და ჩე-მი ბიძაშვილი საწოლი გარნიტუ-რით მივადექით. კიდევ ერთი თვის შემდეგ კი გეოლოგიურ პარ-ტიაში წავედი და ოთარს ცრემ-ლიანი ხმით ვთხოვე, რაც შეიძ-ლება ხშირად ენახა გულიკო და ჩემზე ეხაუბრა.

ხანამ მე ჭიათურაში შავ ქვას ვეძებდი (ოთარს მოხვდა თავში შავი ქვა), ის თურმე ჩემს დანა-ბარებს არ ივიწყებდა და კვირაში სამჯერ გულიკოს კინო-თეატრებ-ში დაატარებდა. ჭიათურაშივე მივხვდი ჩემს შეცდომას, მაგრამ რას ვიზამდი. ერთ დილას ფოს-

ტალიონმა ორად გაკეცილი დეპე-შა მომიტახა.

„ხვალ, კორცილია ტყე ამოდი უჩვეულად ტყე შენი ოტარი“


ბევრი ვირტუი თავში ხელი, რა-ღა დავიძალიოთ და ცოტაც ვიტო-რე. ვერ ვავწირე მაინც ბიძაშვი-ლი და ჩამოვედი თბილისში. ჩემი ოთახი დაცლილი სტადიონით რომ დამხდა, გული ისევ ამიკვნეს-და. გამოვიცვალე ტანისამოსი, ავიღე იატაკიდან ერთადერთი და-რჩენილი ნივთი — რადიომიმღები და ახალჯვარდაწერილები საკენ გავეშურე. უხეხი შეკვეთებოდა. გულიკოს სახლში რომ შევედი, რეტი დამხსხა: სიცილი. კვილი, ღვინო, ბოლი. ერთი კი მახსოვს — გავიგონე ღრიალი — სიძე მოვიდა, გაუმარ-ჯოს-ჯოს-ჯოს!!!

როდესაც გამოვერკვიე, შევამ-ჩნიე, რომ ოთარი რაღაცას მიყ-ვირის უურში და ოთახის ბოლო-საკენ მიმართევს. იქ გულიკო იჯ-და და ნაზად მიდიმოდა, მის გვერდით სკამი მე მელოდა. ასე დავქორწილდი.

ბ. ხარაიძე

რედაქტორი — ნიკო შველიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49. გამომც. № 22. ხელმოწ. დასაბ. 6/XI-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შევ. № 1352. უფ. 03798. ტირ. 40.000.



ნატაუზბი
НАТАНЕБИ



ყუჩარღება

ყურადღება! ქალაქ ცხაკაიას რაისაბჭოს მუშაკებო, რას ნიშნავს ეს, ხომ არ გადმოსხდნენ კვლავ გონიოსთან თურქი მეკობრეები და მამელუკებად ხომ არ მიუვთ კოლხი ჭაბუკები. ხომ არ აღზღდა მკვდრებით დაღია და ხომ არ ყიდის უმას საჯაროდ. მერედა. ღმერთი არ გწამთ? შესძარით ქვეყანა, უხმეთ ქულზე კაცს, აისხით აბჯარა. ქალაქ ცხაკაიაში ავტოსადგურთან გამოკრული განცხადება მოითხოვს შევლას. უშველეთ! ...იყიდება ოჯახი ძნელადის ქ. №11

ნიანგის სარედაქციო კოლეგია გულწრფელად ულოცავს ქ. მახარაძის მცხოვრებლებს მათ რაიონში ახალი სოფლის „ნატაევების“ დაარსებას. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ახალი სოფელი გაამართლებს მის დამაარსებელთა იმედებს და მხარში ამოუდგება თავისი წარმატებებით საქვეყნოდ ცნობილ ნატანებს. როგორც ამ ფოტო-დოკუმენტიდან ირკვევა, ნატაევების შესავლელში უკვე გამოკრულია მხატვრულად გაფორმებული, მოჩუქურთმებული, ლამაზი აბრა, ოღონდ აბრის გამკვრელებს ცოტა უჩქარაით და რუსულ ტექსტში შეცდომა დაუშვიათ. კარგი იქნება, თუ ეს შეცდომა გასწორდება და აბრაზე რუსულადაც ნატაევები დაიწერება.

სამ ოქტომბერს თბილისის სადგურზე სურამიდან დაგვიანებით დაბრუნებულმა მატარებელმა, რომელიც აგრეთვე ერთი საათის დაგვიანებით დაბრუნდა გორში, მოახდინა ახალი ტიპის ვაგონების დემონსტრირება. როგორც იტყუბა, ამ ვაგონებს კარები არ გააჩნია, მაგრამ ეს არ აფერხებს მგზავრთა ნორმალურ მოძრაობას. ვაგონები ისეა მოწყობილი, რომ საკმარისია მგზავრმა ფეხი გამოუს ფანჯარაში, ოთხად მოიკავოს, თავს ბატარა ძალა დაატანოს და იგი ბაქანზე აღმოჩნდება. უფრო საინტერესოა ვაგონიდან ბარგის გადმოზიდვის პროცედურა. შიგნით მყოფი მგზავრი ფანჯრიდან ისვრის ჩემოდანს, მას ოსტატურად იჭერენ ფანჯრიდან ადრევე გადმომძვრალი მგზავრები და საქმე დამთავრებულია. ეს ახალი ტიპის ვაგონები ხელს უწყობს მგზავრთა ფიზიკურ მომზადებას, სიბალისე და სიკისკასე შეაქვს მგზავრობაში, აკეთებენ კარების ეკონომიას. ანთავისუფლებენ ზედმეტი საშუაოსაგან გამცილებლებს, სადგურის მორიგეს, მილიციას. რაც მთავარია, ასეთი მგზავრობა წარმოადგენს უფასო შესანიშნავ საციკო სანახაობას. კარგი იქნება, თუ მგზავრობის აღნიშნული მეთოდი მასიურად დაინერგება გორსა და თბილისს შორის.

